ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 277 (4) 23 თებერვალი, 2015 წ

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

18 თებერვალს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, 11 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე განხილული საბიუჯეტო ცვლილების შესწორებული ვარიანტი წარმოადგინა. მოხსენებითი ბარათის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 10 ათასი ლარის ნაცვლად 5 ათას ლარს მიიღებს, 50 ათასი ლარიდან 40 ათას ლარამდე შემცირდა საფეხბურთო გუნდ „ჩხერიმელა - 2009“-ის ხარჯები. ა(ი)პ „ხარაგაულდასუფთავების“ სამსახურს 37 ათასი ლარის ნაცვლად 35 ათასი ლარი გამოეყო. ცვლილებაა ასევე ტელერადიომაუწყებლობის ხარჯებში, 20 ათასი ლარის ნაცვლად ამ კუთხით 5 ათასი ლარი მიიმართება.

საკითხის შესახებ დასკვნა წარმოადგინა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ. ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, კომისიამ დეტალურად განიხილა საბიუჯეტო ცვლილება. მოწვეულ იყვნენ ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები, რომელებმაც საფუძვლიანად დაასაბუთეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხების აუცილებლობა. მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოთქმულა და ხმათა უმრავლესობით დადებითი დასკვნა მიეცა საბიუჯეტო ცვლილებას.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ქეთევან ზუმბაძემ განაცხადა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომები ტარდება დარღვევებით, რადგან სხდომის ოქმები არ იწერება. მან პრეტენზია გამოთქვა დოკუმენტაციის მიწოდებასთან დაკავშირებითაც და განმარტა, რომ კომისიის თავმჯდომარემ, წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების მოხსენებითი ბარათების მიწოდებაზე უარი განუცხადა, მიზეზად კი საბუთების მოუწესრიგებლობა დაასახელა.

ქეთევან ზუმბაძე: „კომისის სხდომაზე ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, რამდენი ეძლეოდათ თანხები. მაინტერესებს, რაში უნდა დახარჯოს „ხარაგაულდასუფთავების“ სამსახურმა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ჩადებული 15, 2 ათასი ლარი? რატომ იხარჯება გამგეობისა და საკრებულოს ავტომანქანების შეკეთებისთვის 11 ათასი ლარი და იგეგმება თუ არა გუბერნიიდან ნაჩუქარი მანქანის შეკეთება? კითხვა მაქვს ასევე გივი თხელიძესთან, როგორც დაბის მაჟორიტარ დეპუტატთან, მოხდება თუ არა დაბაში შესაკეთებელი ქუჩების მოასფალტება?“.

ქეთევან ზუმბაძის ბრალდებებს არ დაეთანხმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი: „ქალბატონო ქეთევან, როგორც ჩანს, ვერ გაიგეთ დემოკრატიული პრინციპებით ჩატარებული კომისიის მუშაობა. ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებს წინასწარ როგორ ეცოდინებოდათ, რა თანხებს ვაძლევდით. ამაზე გადაწყვეტილებას საკრებულო დღეს მიიღებს. თქვენ, ალბათ, როგორც ყოფილი ა(ა)იპ -ის ხელმძღვანელი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში წინასწარ ფლობდით ინფორმა-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

უახლოეს მომავალში ხარაგაულში აფხაზეთის დღე აღინიშნება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის და აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით ხარაგაულში აფხაზეთის დღე აღინიშნება. ამ თემასთან დაკავშირებით 18 თებერვალს აფხაზეთის მთავრობის დელეგაციის წარმომადგენლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ინგა მაღრაძეს, კულტურის სამსახურის უფროსს, ირინე ჩხეიძეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს, დავით კიკნაძეს და ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის დირექტორს, ვალერი გოგნაძეს შეხვდნენ. შეხვედრაზე - პროექტი „აფხაზეთის დღის“ აღნიშვნასთან დაკავშირებული საკითხები მიმოიხილეს და დაგეგმილ ღონისძიებებზე იმსჯელეს. წინასწარი ინფორმაციით, ხარაგაულში „აფხაზეთის დღე“ 27 თებერვალს გაიმართება და ეს დღე მთლიანად აფხაზეთის კულტურას მიეძღვნება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლმა, კობა ლურსმანაშვილმა, აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება და ასეთი სახის ურთიერთობები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან მნიშვნელოვანია.

„დაიგეგმება ერთი დღე, რომელიც მიეძღვნება აფხაზეთის თემატიკას. კიდევ ერთხელ გავიხსენებთ აფხაზეთს, ვნახავთ მათ მრავალფეროვან ფოლკლორულ შემოქმედებას. აფხაზეთი ყველა ქართველის ტკივილი, მონატრება და სიყვარულია. ვიმედოვნებ, აფხაზებსა და ქართველებს შორის ოდესღაც არსებული სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის ხიდი კვლავ აღსდგება და აფხაზეთს დავიბრუნებთ“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის დირექტორის, ვალერი გოგნაძის ინფორმაციით, აფხაზეთის დღესთან დაკავშირებით საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართება N2 საჯარო სკოლაში. შემდეგ კი ისტორიულ მუზეუმში მოეწყობა ნახატების გამოფენა.“

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოფილი სანეპიდსადგურის შენობაში განთავსდება

18 თებერვალს გამგებლის მოადგილემ, დავით დევდარიანმა, საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან, ნიკოლოზ მაჭავარიანთან, ერთად ყოფილი სანეპიდსადგურის შენობა დაათვალიერეს. სულ მალე ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა აღნიშნულ შენობაში განთავსდება. შენობის რეაბილიტაციისთვის 100 ათასი ლარია გამოყოფილი და ამჟამად საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება. ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის მომავალი შენობის საპროექტო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია სპს „მაგი“ 2 345 ლარად განახორციელებს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

დეპუტატებმა დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევას მხარი დაუჭირეს

18 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ იმსჯელეს. განკარგულება მათ საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, გააცნო. მისივე თქმით, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 140–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 88–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების მიზნით მოწვეულ უნდა იქნეს დამოუკიდებელი აუდიტი.

საკითხის მიმართ საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მხარი ერთხმად დაუჭირეს.

„აუდიტორული შემოწმება აუცილებელია, - განმარტა სხდომაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, როდესაც გამგეობა წარმოადგენს ანგარიშს 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მიზანშეწონილია, თან ერთვოდეს დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა. ბევრჯერ ისმის საუბრები თანხების ხარჯვის მიზნობრიობაზე, ამიტომ ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მიზნით ამ ნაბიჯის გადადგმა მართებულად მიმაჩნია. დასკვნის საფუძველზე ბუნდოვანი არაფერი დარჩება და ყველა კითხვას ამომწურავად გაეცემა პასუხი“.

აღნიშნული მომსახურების შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა.

გვერდი მოამზადა
ეკა შავიძემ

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

◀ 1 გვ.

ციას დაფინანსების შესახებ. ეს დრო დასრულდა და კარგად გაითავისეთ. რაც შეეხება კომისიის სხდომის ოქმებს, ყველა ოქმი არსებობს და შეგიძლიათ, ნახოთ. თუმცა ხშირ შემთხვევაში, რაც რაიონის საკეთილდღეოდ კეთდება, თქვენ მხარს არ უჭერთ, რადგან არ გინდათ, ამ პროცესების თანამოზიარე გახდეთ. შენიშვნა იყო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებითაც. ყველა დეპუტატი დამეთანხმება, ამ კუთხით პრობლემა არავის ჰქონია. მოგიწოდებთ, უსაფუძვლო ბრალდებებს შეეშვათ და უფრო აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა კომისიის მუშაობაში.“

ვალადიმერ გელაშვილის განმარტებით, „დასუფთავების სამსახურში ფუნქციონირებს წყალანირების ჯგუფი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს დაბაში კანალიზაციის სისტემა. სწორედ ამისთვისაა გათვალისწინებული თანხები არაფინანსური აქტივების მუხლში. მათ ასევე შეიძინეს სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარები. ტრანსპორტის შეკეთებისთვის გამოყოფილი თანხებით რემონტდება ერთი საკრებულოსა და ოთხი გამგეობის მანქანა. ჩვენი ავტოპარკი ისეთი ამორტიზებულია, ვფიქრობ, ეს დიდი თანხა ნამდვილად არაა“.

რაც შეეხება ქუჩების მოასფალტებას, გივი თხელიძის ინფორმაციით, დაბისა და პატარა ხარაგაულის ქუჩების აღწერა დასრულებულია, მონაცემები ინფრასტრუქტურის სამსახურისთვისაა გადაცემული და სარემონტო სამუშაოები დაიწყება.

დეპუტატმა იური ლურსმანაშვილმა შენიშვნა გამოთქვა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მანქანების შესახებ. მისი თქმით, მათი შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ეს ბიუჯეტზე ცუდად აისახება.

„რეალურად გამგეობას ხუთი, ხოლო საკრებულოს სამი ავტომანქანა ემსახურება. აღნიშნული მანქანებით კონკრეტული საქმის გასაკეთებლად თანამშრომლები მოძრაობენ და ხარჯიც ამიტომაა. თუკი არაფერი გავაკეთეთ, მანაქანას არავინ გამოიყენებს. მივიჩნევ, რომ თქვენი დამოკიდებულება არაადეკვატურია, მოვლენებს კარგად ვერ აღიქვამთ და არც თქვენს პოზიციას არ ვიზიარებ. არსებობს მთავრობის დადგენილება, როგორ უნდა მოახდინონ მუნიციპალიტეტებმა ავტომობილების შეძენა. ეს დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. სჯობს, ხუთი მანქანის რემონტისთვის დაიხარჯოს 11 ათასი ლარი, ვიდრე ერთ ახალ მანქანაში 27 ათასი ლარი გადავიხადოთ“ - მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა იური ლურსმანაშვილს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილი, საფხეტურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009“-ის დაფინასების საკითხს შეეხო. „2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, გუნდს დავაკელით ათი ათასი ლარი. როგორც მისმა ხელმძღვანელმა განმარტა, მეტი თანხა არ სჭირდებოდა. ახლა კი 40 ათას ლარს ვუმატებთ. რამ გამოიწვია ეს ცვლილება და, ზოგადად. რატომ ითხოვენ ა(ა)იპ-ები დამატებით თანხებს?

„ფეხბურთის ფედერაციაში ისევ დარჩნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ორ თვეში ეს სისტემაც გაიწმინდება და ფეხბურთს ეშველება“ - აღნიშნა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

ვალადიმერ გელაშვილის თქმით, „როცა 2015 წლის ბიუჯეტს ვამტკიცებდით, რა თანხებიც ა(ა)იპ-ების მიერ იყო მოთხოვნილი, ვერ დაკმაყოფილდა. ყველას დავპირდით, დანაკლისის შევსება ეტაპობრივად მოხდებოდა. რატომ გიკვირთ დღეს ეს ცვლილება, ჩემთვის წარმოუდგენელია.“

საბოლოოდ, დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილებას კენჭი მუხლობრივად უყარეს. თუმცა არც ერთი ცვლილება არ ჩავარდნილა წარმოდგენილი პროექტი იგივე ფორმით დამტკიცდა.

ეკა შავიძე

სოფლის გაძლიერება ქვეყნის გაძლიერების საწინდარია

19 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში პროექტის „ქართული მეცნიერების მიღწევების დანერგვა სოფლის მეურნეობაში ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით“ პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას უშუალოდ პროექტის კოორდინატორი, ბატონი მურმან არჯევანიძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი ბონდო კიკნაველიძე და ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ვაჟა მაჭავარიანი, უძღვებოდნენ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულები, განსაკუთრებით გამრჯე ფერმერები, მინათმოქმედები, მესიმინდეები და მევენახეები.

პროექტი უშუალოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ხორციელდება, - აღნიშნა მურმან არჯევანიძემ და სოფლის მოსახლეობისთვის მის მნიშვნელობასა და როლზე ვრცლად ისაუბრა:

„ხარაგაულში დღეს არ არის არც ერთი დიდი კომპანია, არ მუშაობს ქარხნები, საწარმოები, რათა ხალხი დასაქმდეს. გამომდინარე აქედან, უნდა მოხდეს იმის ათვისება, რისი შესაძლებლობაც რაიონს გააჩნია. ვფიქრობ, ამ კუთხით სოფლის გაძლიერება კარგი გამოსავალი იქნება. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კონკრეტულად გაგაცნობთ რა არის ჩვენი მიზანი და რისი გაკეთება გვსურს.

ხარაგაულში სასოფლო-სამეურნეო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გაიხსნება, სადაც შემდეგი სპეციალობები იქნება: ნიადაგმცოდნეობა, მესიმინდეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა. მომავალში ნაბიჯ-ნაბიჯ დაემატება სხვა სპეციალობები. აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებაში მხარს გვიჭერს საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, განათლების საინისტრო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. გავიარეთ კომპეტენტურ პირებთან კონსულტაციები, გასული წლის დეკემბერში მოვიწვიეთ მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტები, მეცნიერები, პროფესორები და მათთან ერთად ჩავატარეთ სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია.

გარდა ამისა, პროექტი ითავლისწინებს ნიადაგის შესწავლას. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ნიდაგის მჟავიანობის შესახებ. არ ვიცით, რამდენად ნაყოფიერია ჩვენი მიწა. სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს მათი შესწავლა და სინჯების აღება. მას შემდეგ, რაც ლაბორატორიულად დადგინდება ნიადაგის ვარგისიანობა ამა თუ იმ კულტურის მოსაყვანად, საჭიროა, იგი გაჯერდეს ბიოაქტივატორებით. სინჯების აღების პარალელურად დაბაში შემოვიტანთ და ერთ-ერთ მაღაზიაში განვათავსებთ აღნიშნულ პრეპარატებს. მსურველებს დღესვე შეუძლიათ, გაიარონ რეგისტრაცია და ამისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა მიმართონ. იმ მიწათმოქმედებს, რომლებიც პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას, ნიადაგების აგროქიმიურ ლაბორატორიული ანალიზი უფასოდ ჩაუტარდებათ.

ასევე ვაპირებთ, მარტში შემოვიტანოთ განსაკუთრებული ჯიშის ნერგები - კაკლის, თხილის, თუთის - რომლებიც გამოცდილია ყინვასა და გვალვაში. ისინი პირველივე წელს გვაძლევენ ნიშანს და მომავალ წელს უკვე ნაყოფს“.

პროექტის სამომავლო მიღწევებზე ისაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა ბონდო კიკნაველიძემ: „აღნიშნული პროექტის განხორციე ლებას ხარაგაულისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, ვიცოდეთ, რომელი კულტურა სად უნდა გავაშენოთ. შეიძლება გარკვეულ ნიადაგზე კარგად ხარობს ვაზი, მაგრამ ის თხილისთვის მოსავლისუუნარო იყოს. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ნიადაგის შემოწმება და სინჯების აღება. ხოლო ეს უკანასკნელი ძალზე სიზუსტით უნდა იქნეს გაკეთებული.“

სინჯების აღების შესახებ დაწვრილებით ისაუბრა ცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა, ვაჟა მაჭავარიანმა.

„ნიადაგის სინჯის აღების დროს აუცილებელია, დავიცვათ სიზუსტე. სხვადასხვა კულტურაზე სხვადასხვა სიღრმიდანაა საჭირო სინჯის აღება. კარგი იქნება, თუ სინჯის აღების დროს გამოვიყენებთ სამედიცინო ხელთათმანებს. ნაკვეთიდან, თუ ის დამრეც ფერდობზეა, შეიძლება რამდენიმე სინჯის აღება იყოს აუცილებელი და ეს კონვერტისებურად უნდა განვახორციელოთ.“

დასასრულ, პროექტის მნიშვნელობაზე რეზიუმე გააკეთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა: „სოფლის მეურნეობის განვითარება რაიონში ძალზედ მნიშვნელოვანია. მივესალმები ზემოთხსენებული პროექტის განხორციელებას და მის აუცილებლობას ვადასტურებ კიდეც ჩემი აქტიური მხარდაჭერით. ის რომ, პროექტში სწავლული აგრონომები ერთვებიან, განსაკუთრებულად აღსანიშნავია. დღეს სოფლის მეურნეობის დარგს ახალგაზრდები არ სწავლობენ და აქტიურობაც არ იგრძნობა. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა და ჩვენი ადმინისტრაცია ამ კუთხით მეტ დაინტერესებას იჩენს. გარწმუნებთ, ის რასაც ჩვენ გთავაზობთ, რეალობაა და არა თეორიის დონეზე მოწოდებული ინფორმაცია.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამინს, ვინც ამ პროექტში მონაწილეობს. ისინი დაუღალავად შრომობენ და ცდილობენ ჩვენამდე ზუსტი და საჭირო ინფორმაცია მოიტანონ.

ხარაგაულში სერიოზულად დაიწყო მოძრაობა სოფლის გაძლიერების კუთხით და ეს შეუქცევადი პროცესია.

გახსოვდეთ, სოფლის გაძლიერება ქვენის გაძლიერების საწინდარია.“

თეა ბერიძე

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს მალხაზ თაბუკაშვილს საჩუქრად კომპიუტერი გადაეცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფელ ახალსოფელში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს, მალხაზ თაბუკაშვილს, საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადასცა.

მალხაზ თაბუკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნანა კიკნაძემ და სოციალური სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ნანა თხელიძემ, მოინახულეს და მას პორტატული კომპიუტერი პირადად გადასცეს.

მალხაზ თაბუკაშვილი ახალსოფელში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. იგი 15 წელიწადია, რაც ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული და დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებს.

ოჯახმა მადლობა გადაუხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გამოჩენილი ყურადღებისთვის. როგორც მლხაზმა აღნიშნა, პორტატული კომპიუტერი მას საინტერესო ინფორმაციის მოძიებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში დაეხმარება.

სოფელ ბაზალეთში ცენტრალური გზის მოასფალტების საპროექტო სამუშაოები დაიწყო

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხარაგაული-ბაზალეთის სამკილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია იწყება. მისი სავარაუდო ღირებულება 600 ათასი ლარია. ამჟამად საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება და მას ტენდერში გამარჯვებული შპს „გზამკვლევი 2001“ ასრულებს.

საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით გზების რეაბილიტაცია მომავალ წლებშიც გაგრძელდება. 2016 წელს იგეგმება უბისა-ღორეშის, ხოლო 2017 წელს ბაზალეთი-სარგვეშის გზების რეაბილიტაცია.

ხარაგაულში ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება

ხარაგაულში რომ ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს, ეს არახალია. სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ გარკვეული თვალთახედვით თითქოს პროცესი დროში გაიწელა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მშენებლობის ფონდის დირექტორს, ბატონ ცეზარ ბუბულაშვილს გავესაუბრეთ.

ვიდრე კითხვა-პასუხის რეჟიმში გადავიდოდით, ბატონმა ცეზარმა დაბაში ეკლესიის არარსებობაზე მცირე ისტორიული მიმოხილვა გააკეთა.

„მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულში დიდი საქარავნო აბრეშუმის გზა გადიოდა, პირველყოფილ ადამიანთა პირველი ნაკვალევიც აქვე ახლოს, დევის ხვრელშია აღმოჩენილი და საზოგადოების ევოლუციური განვითარების და ცივილიზაციის ნიშნებიც საკმაოდ მოიპოვება, ოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გასაკვირია, რომ ხარაგაულში ეკლესია არ იყო. ეს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით აიხსნება, რომელიც შემდგომი მეცნიერული კვლევების საფუძველია.

დაბაში მხოლოდ სამლოცველო სახლი იყო, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ვარძიის მღვდელმსახურთა ოჯახში აღზრდილმა რომანოზ დეკანოსიძემ თავისსავე სახლში გახსნა. მისი ფუნქციონირება დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა წყობილებამ ამ შენობაში სახელმწიფო სტრუქტურები განათავსა. ხელმეორედ სამლოცველო სახლის აღდგენა გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა და მაშინვე გამოიყო ადგილი ტაძრის ასაშენებლად. გროვდებოდა შემოწირულობებიც, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდებოდა. ტაძრის აშენების სურვილი აუხდენელ ოცნებად რჩებოდა.

- ბატონო ცეზარ, როდის ჩაეყარა საფუძველი ტაძრის მშენებლობას?

- 2007 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი და სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ეკლესიის მშენებლობას. მაშინვე ამირჩიეს ფონდის დირექტორად და დღემდე ამ საქმეს ვხელმძღვანელობ.

არ შემიძლია, არ გავიხსენო, როგორ დაიწყო ტაძრის მშენებლობისთვის მზადება. არ გვქონდა არანაირი სახსრები. პირველი შემოწირულობა - 161 ლარი, სამლოცველოში არსებული ყუთიდან მივიღეთ. დასაწყისში ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდა, თვით

მღვდელმსახურთა მხრიდანაც კი, მაგრამ ეპარქიის მაშინდელი მიტროპოლიტის, ვახტანგის (ახვლედიანი) საქმისადმი სწორმა მიდგომამ და მხარდაჭერამ მშენებლობას სისტემური ხასიათი მისცა და 2008 წლის 16 ივნისს შვიდმეტრიანი ბალავარი გაიჭრა მასიურ კლდეზე. პირველი სამშენებლო ქვის დაშენება კი, 2009 წლის 24 აპრილს მოხდა. 2010 წლის 12 აგვისტოს მეუფე ვახტანგმა ტაძარი აკურთხა და მას შემდეგ ნელ-ნელა მიდის სიმაღლეში.

უშუალოდ მშენებლობა 2011 წლის 18 ივნისს დაიწყო, იქამდე მთელი დრო სამშენებლო მასალების შემოზიდვას და ფინანსების მოძიებას დასჭირდა.

ვისაც ეს საქმე ესმის და იცის მშენებლობის არსი, დამერწმუნება, რომ მწირი დაფინანსების პირობებში რაც გავაკეთეთ, ცოტა ნამდვილად არაა. ჩვენ ხომ არც სტაბილური დაფინანსება გვაქვს და არც სპონსორი გვყავს. ყველაფერი შემოწირულობებით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიებით კეთდება. მშენებლობის ტემპიც სწორედ ფინანსებზეა დამოკიდებული.

არაერთ გზას მივმართეთ ფინანსების მოძიებისთვის: დავდგით შემოწირულობის ყუთები, გავაკეთეთ ერთლარიანი და სახელობითი ჩუქურთმების აქციები, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. მუნიციპალიტეტის სოფლებიდან აქტიურად მოდიოდა მუშახელი და გვეხმარებოდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“, „ხარაგაულკეთილმოწყობას“, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, მოსწავლეთა სახლს, ს/ს „იმერის“ თანამშრომლებს, რომლებიც უკვე მეხუთე წელია, აქტიურად არიან ჩართული აქციაში „ჩემი შესაწირი ტაძრის მშენებლობას“. ისტორიული მუზეუმის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, მეორე სკოლის, კულტურის სამსახურის, სახანძრო-სამაშველო სამსახური თანამშრომლებიც ერთჯერადად ერთვებიან აქციაში და ამით ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ. რაც შეეხება სახელობითი ჩუქურთმების შემოღებას, ამას ცალკეული პირები, ოჯახები და საგვარეულოს წარმომადგენლები უერთდებიან. სწორედ ასეთი მეთოდების მიგნება გვაძლევს საშუალებას, ტაძარი დავტვირთოთ ჩუქურთმებით და, არ გადავაჭარბებ თუ გეტყვით, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ჩუქურთმებით მდიდარი ტაძარი.

სისტემატურად ვფინანსდებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიებით. ბოლო ორ წელიწადში მათ 168 ათასი ლარი გადმოგვირიცხეს. თუ, ღვთის მადლით ამდენი გავაკეთეთ, ტაძრის დასრულებასაც მალე შევძლებთ. გვერდში გვიდგას და გვეხმარება მარგვეთია და უბისის ეპარქიის ახალი მიტროპოლიტი, ყოვლადუსამღვდელოესი, მეუფე მელქისედეკი (ხაჩიძე). ტაძრების მშენებლობისადმი მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და გამოცდილება დიდ სტიმულს გვაძლევს.

- ბატონო ცეზარ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე ტაძრის მშენებლობა შეჩერებულია. რამ განაპირობა ეს? აქვე ჩაგეკითხებით: დღემდე მშენებლობის ფონდში რამდენი ლარია ჩარიცხული და კიდევ რამდენია საჭირო ტაძრის მშენებლობის დასასრულებლად?

- ვერ დაგეთანხმებით, რომ მშენებლობა შეჩერებულია, ტემპია შენელებული და ეს იმითაა გამოწვეული, რომ გასულ წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიას ველოდებოდით 100 000 ლარს და გარკვეული მიზეზების გამო 68 ათასი ლარი მივიღეთ. თუმცა მიმდინარე წელს მდგომარეობა შეიცვალა და დამატებით გამოგვეყო 30 000 ლარი. შესაბამისად მშენებლობის ტემპიც დაჩქარდება.

ტაძრის მშენებლობის დასრულებისთვის დაახლოებით 100-120 ათასი ლარია კიდევ საჭირო. მარტო სუბსიდიის იმედზე ვერ ვიქნებით, უნდა გაიზარდოს ერთლარიან აქციაში მონაწილე ორგანიზაციების რიცხვი. ყველა ხარაგაულელმა უნდა გაითავისოს, რა მნიშვნელოვანი და საშვილიშვილო საქმე კეთდება და აქტიურად უნდა ჩაერთონ მშენებლობის პროცესში. ეს არის პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე, სადაც ყველაფერი ნათელია.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ლარია დღემდე გახარჯული, გეტყვით, რომ დღეის მდგომარეობით, სულ შემოსულია 410 601 ლარი, აქედან სუბსიდიით 217 ათასი ლარი, პრეზიდენტის ფონდიდან 20 ათასი ლარი, კალენდრების რეალიზაციით 10 698 ლარი, სახელობითი შემოწირულობით 32 367 ლარი, საიდუმლო შემოწირულობით 5 722 ლარი, მარათონით - 13 998 ლარი. ხოლო ყუთებიდან დღემდე 116 200 ლარია შემოსული. რისი გაკეთებაც ამ თანხით შეიძლებოდა, ორჯერ მეტი სამუშაოა ჩატარებული.

- რაიონში და მის მიმდებარედ დგას შემოწირულობის ყუთები. რამდენად აქტიურია მოსახლეობა ამ კუთხით?

- როცა მშენებლობის დაფინანსების ფორმებს ვეძებდით, პირველი, რაზეც ყურადღება შევაჩერეთ, იყო შემოწირულობის ყუთები. საორგანიზაციო საკითხებში თავის დროზე აქტიურად დაგვეხმარნენ: გიგა გლუნჩაძე, მამუკა ჭიპაშვილი, დათო ლაცაბიძე, ალიკა ტაბატაძე, ალიკა მურადოვი. ზესტაფონში - მურთაზ სირდაძე, ხაშურში - მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე, დათო ლომსაძე. თბილისში - გიგა ლომსაძე, ბესო ყრუაშვილი, ნიკა ბანცაძე.

დღესდღეობით ყუთები დგას: დაბაში, ტრასაზე, ზესტაფონში, ხარაგაულსა და თბილისში. თავდაპირველად 100 ყუთამდე გვქონდა, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ დღეისთვის მხოლოდ 47 ყუთია დისლოცირებული ზემოთ ხსენებულ ადგილებზე. ყუთების გახსნას ესწრება კომისია, დგება აქტი და თითოეული თეთრი იბეჭდება გაზეთის ფურცლებზე. ხალხის აქტიურობაც გამოქვეყნებული შედეგებიდან კარგად ჩანს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ყველას უღრმეს მადლობას ვუცხადებთ, ვისაც თუნდაც ერთი თეთრიც კი გაუღია.

- იყო გარკვეული კითხვები თანხების მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, თქვენ რა კომენტარს გააკეთებთ?

- ყოველივე ის, რაც დღესაა გაკეთებული, მუშაობის სწორი წარმართვით, ბუღალტერიის და ხარჯების მიზნობრიობითაა განპირობებული. ერთი თეთრიც არ მაქვს აღუწერავი. თანხების აღირცხვა სრული სიზუსტით მიმდინარეობს. შემოწირულობები შედის ბანკში, ხოლო ადგილობრივი შემონატანები ყოველდღიურად რეგისტრირდება ჟურნალში. ყუთებიდან შემოსული თანხები კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყოველთვიურად აღირცხება. ვაწარმოებთ ელექტრონულ ბუღალტერიას. ასე რომ, ყველაფერი გამჭვირვალეა და თუ ვინმეს უფრო კონკრეტიკა აინტერესებს, შეუძლიათ, მოვიდნენ და ადგილზე მიიღონ პასუხი. ღმერთს სიმართლე უყვარს.

თეა ბერიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს განკარგულება №9
დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 140–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 88–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების მიზნით მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი აუდიტი.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას მოახდინოს აღნიშნული მომსახურების შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება-პროექტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1;

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი თანდართული ფორმების (ფორმა N1,2,3,4) შესაბამისად.

მუხლი 2

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 6 ივნისის №24 დადგენილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ არასამეწარმეო(არაკომერციული) და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის, დავით ლომსაძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საგაზაფხულო გაწვევისთვის ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე ხარაგაულიდან 13 წვევამდელი გაიგზავნა. მისივე ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია მათგან რამდენის ჯანმრთელობის მდგომარეობა დააკმაყოფილებს სამხედრო მოთხოვნებს. წვევამდელები სამედიცინო შემოწმებას თბილისში, ცენტრალურ საექსპერტო სამედიცინო კომისიაში გაივლიან. ამის შემდეგ ისინი სამხედრო-სავალდებულო სამსახურს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროების დაქვემდებარებულ ნაწილებში მოიხდიან.

სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქე გაწვევას თვრამეტიდან ოცდაშვიდ წლამდე ექვემდებარება. ამავე დროს პიროვნებას უფლება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ ოთხწლიან საკონტრაქტო სამსახურში გააფორმოს ხელშეკრულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის მსურველებს კანონი ასაკს არ უზღუდავს.

დავით ლომსაძის განმარტებით, როდესაც პირი გამოძახებული იქნება სამხედრო სავალდებულო სამსახურში და თავს აარიდებს აღნიშნულ პასუხისმგებლობას, იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივ სამმართველოს რაიონულ პოლიციას გადაეცემა. აქედან წვევამდელი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიეცემა და დაეკისრება ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მას სამხედრო-სავალდებულო სამსახურისგან.

სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას ექვემდებარება პირი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემებისას; თუ არის უმაღლესი ან საშუალო სასწავლებლის სტუდენტი, ან მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა- შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე; ჰყავს ორი ან მეტი შვილი; ჰყავს ერთი შვილი - შეძენის დღიდან სამი წლის ვადით; მუშაობს სოფლის მასწავლებლად ან ექიმად; მის კმაყოფაზეა ოჯახის უუნარო წევრი და არასრულწლოვანი ან ობოლი და-ძმა; არის დედისერთა; არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში; თუ წვევამდელი გაწვევის დღისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. ხოლო პარლამენტის წევრად არჩევის შემხვევაში იგი თავისუფლდება სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდისგან.

რაც შეეხება პიროვნებას, რომელიც იმყოფება უცხოეთში, იგი თავისუფლდება გაწვევისაგან, ვიდრე არ დაბრუნდება საქართველოში.

ეკა შავიძე

ლაშის საჯარო სკოლაში წმინდა მღვდელმოწამის სიმონ მჭედლიძის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშის საჯარო სკოლა წმინდა მღვდელმოწამის სიმონ მჭედლიძის სახელს ატარებს. 1918 წელს სკოლა წმინდა მღვდელმოწამეს თავადვე აუშენებია. იმ დროს, როდესაც სიმონ მჭედლიძე სოფელ ლაშეში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა, სკოლის აშენება არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. არ არსებობდა ფულადი სახსრები, მუშახელი და სხვა რესურსი, მაგრამ საქმის ორგანიზატორმა პრობლემა წარმატებით გადაჭრა. მოსახლეობის მიერ შემოწირული თანხებით, მათი დაუღალავი შრომით და წმინდა მღვდელმოწამის კეთილი ნებით, მალე აიგო ლამაზი, ორსართულიანი, ჭერმაღალი და ფართოოთახებიანი სკოლა. თავდაპირველად სკოლაში ოთხწლიანი, შემდეგ რვაწლიანი სწავლება მიმდინარეობდა. დღეს კი საშუალო სასწავლებელია და ლაშის თემში შემავალ ხუთ სოფელს ემსახურება. მიმდინარე წელს წმინდა მღვდელმოწამეს 150 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით 16 თებერვალს ლაშის საჯარო სკოლაში მეტად შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ცერემონიას სიმონ მჭედლიძის შთამომავლებიც ესწრებოდნენ. მოსწავლეებმა სიმონ მჭედლიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებას სრულყოფილად გააცნეს ის მამულიშვილური საქმეები, რომელთა თაოსანიც იყო ეს მადლმოსილი პიროვნება.

სიმონ მჭედლიძე სასულიერო საქმიანობისთვის კომუნისტებისგან აქტიურად იდევნებოდა. იგი 1924 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის ტყეში დახვრიტეს. 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა სიმონ მჭედლიძე წმინდანად შერაცხა.

ლაშის საჯარო სკოლის დირექტორის, ნათელა აბესაძის თქმით, „დღევანდელი ღონისძიება მეტად შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია. ჩვენთან სტუმრად იმყოფებიან სიმონ ჭედლიძის შთამომავლები, რამაც ძალიან გაგვახარა და მადლიერების გრძნობით აგვავსო. 2006 წელს სკოლას ჩაუტარდა რესტავრაცია და ყველანაირად შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა პირვანდელი იერსახე. ჩვენი მოსწავლეები სიმონ მჭედლიძის ნაკვალევზე იზრდებიან და ეს ფაქტი ძალიან გვახარებს.“

ეკა შავიძე

დადგენილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“

შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ N2 დანართში და დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტს ღორეშის საზოგადოებრივ ცენტრში მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Internet Explorer–ის კარგ დონეზე ცოდნა;

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების ცოდნა;

ე) „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

ვ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

ზ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

თ) „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილების ცოდნა;

ი) „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

კ) „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

ლ) „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

მ) „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა.

ნ) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა.“

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

დადგენილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 17.07.2014).

შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების პირველ მუხლში და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის მე-12 პუნქტს დაემატოს 2 მთავარი სპეციალისტის შტატი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;
ტირჟი: 1000 ცალი

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.